№ 237. 12 ნოემბერი, ხუთშაბათი. 1866—1881 12 ნოემბერი, ხუთშაბათი. № 237

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверіи".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის [illegible] ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურგი, 10 ნოემბერს. თავისუფალ გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დადგენილმა კამისიამ გადაწყვიტა: ხაზინამ გამოუსყიდოს იმათ მიწა და საკუთრად გარდასცეს. შესრულება ამგვარდაწყვეტილებისა ცალკე კამისიებს მიენდოს თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავსმჯდომარეობით.

ექსპერტებმა გარდაწყვიტეს 9 ნოემბერს: ის გლეხები, რომელნიც თავის ხარჯით გადასახლდებიან, შოსესა და საზოგადოთ გზის გარდასახადისაგან განთავისუფლებულნი იქნებიან.

## აწმყო და მომავალი ჩვენი სცენისა

თუმცა მრავალნი ცდილობენ, რომ თანაგრძნობა აღძრან ჩვენს საზოგადოებაში თეატრის საქმისადმი, მაგრამ ეს მეცადინეობა ჯერ-ჯერობით ამაოა.

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ იყო ნათქვამი—თუ რა გაჭირებულ მდგომარეობაშია ახლანდელი ჩვენი თეატრის დასსი. ჩვენმა პატივცემულ თანამშრომელებმა ბბ. ემბემ და ხორეშან ზვერდწითლისამაც წელსაც რამდენჯერმე მოიხსენეს ეს შევიწროებული მდგომარეობა თეატრის დასისა.

თფილისის საადგილ-მამულო ბანკის დამწესებელთა შესწირეს ქართულ სცენას ოთხი ათასი მანეთი, რომელიც ორი წლის განმავალობაში დადნა ისე, როგორც შარშანდელი თოვლი. საუბედუროდ, დიდ შემწეობას ვერ აძლევს ჩვენს სცენას ვერც ის აბონემენტი, რომელიც წელს გაიმართა. ჩვენი დრამმატიული დასსი ისევ ძველს გაჭირებაშია და სიღარიბეში.

იკითხავთ: რა არის ამის მიზეზი და რა მოელის შემდეგში ჩვენს თეატრს? ამ კითხვაზე პასუხის საგებელად განვიხილოთ ახლანდელი მდგომარეობა ჩვენის თეატრის დასსისა.

დიდის იმედებით შესდგა ეს თეატრის დასსი. ზოგიერთი ნიჭიერი სცენის მოყვარენი შეერთდენ, შეადგინეს თეატრის დასსი და წარსდგნენ საზოგადოების წინაშე. პირველ წარმოდგენებმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და გაზვიადებული იმედებიც აღძრა თვით აქტიორებშიაც. საზოგადოება დაინიშნა თეატრზედ.... შემდეგ ქორწინებაც მოხდა.... საზოგადოება მოვიდა თავის პატარძალთან ოთხი ათას მანეთით და ძვირფასის საჩუქრებით, მაგ. ოქროს საათებით, დაფნის გვირგვინებით და-სხვა-და-სხვა ოქრო-ვერცხლის ნივთებით. თეატრმა, როგორც მსუბუქ ქალს შეეფერება, მალე გაასაღა ეს ნივთები: საჩუქრები გადაიღნენ პრიკაზში, ბარუხევთან და სხვა ამ გვარებთან, და ახლა დგება ისეთი დრო, როდესაც ხელახლად უნდა მოვიფიქროთ საზოგადოებისა და თეატრის ოჯახის ცხოვრებაზედ.... თეატრი ფულს თხოულობს; საზოგადოებას უძნელდება იმის მიცემა და ჩვენ ვხედავთ, რომ ამის გამო ირღვევა კეთილი განწყობილება ცოლ-ქმარს შუა, საზოგადოებასა და თეატრს შუა.

მართლაც, როგორც ცოლ-ქმრის ცხოვრებაში ჩვენ ვამტყუნებთ ხოლმე ქმარს რომელმანც მსუბუქის მოქმედებისაგან ვერ დაიხსნა თავის ცოლი, ისე აქ ჩვენ ვამტყუნებთ საზოგადოებას, რომელიც მოვალე იყო ეზრუნა თეატრის გაუმჯობესობისათვის.

საზოგადოება აღტაცებით შესცქეროდა ახალ-გაზდა ტალანტებს, ვარდის კონასავით ახლად გადაშლილ დასს. მაგრამ იმას დაავიწყდა, რომ მარტო ბუნებით ნიჭიერ მოთამაშეებზე ვერ დამყარდებოდა თეატრი. საჭირო იყო დახელოვნებული მოთამაშეები. ხშირად ვხედავთ, რომ თეატრი მოღვაწეობს და წარმატებაში შედის მხოლოდ ორი ანუ სამის ნიჭიერ აქტიორის შემწეობით. ეს იქიდამ წარმოსდგება, რომ ხელოვნება ავსებს და ასწორებს ბუნებით ნიჭის ნაკლულევანებას და იმ მოთამაშეთა თამაშს, რომელნიც განსაკუთრებულ ნიჭს მოკლებულნი არიან. ბუნებითი ნიჭი თუ არ დახელოვნდა, თუ არ შემუშავდა, მალე ჰქრება, მალე ელევა იმას საფენელი და ცვდება. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ზოგიერთი ახალგაზდა მხატვრები, რომელნიც პირველად მშვენიერ და ნიჭიერ სურათებს წარმოადგენენ ხოლმე გამოფენაზე, ჯილდოს მისაღებად; მაგრამ შემდეგ კიდევ იმათგან ამ პირველ სურათის მეტს, ვერაფერს ვეღირსებით რიგიანს და საყურადღებოს. ეს იქიდამ წარმოსდგება, რომ პირველს ნახატში მხატვარმა ჩაურთო მთელი თვის ახალგაზდობის სიმხურვალე, გრძნობა და ნიჭი და შემდეგ, რადგან არ იმუშავა, არ დაახელოვნა თავის ნიჭი, ეს ნიჭი საზრდოს ვერ პოულობს, არ იხსნება, ჰქრება.

ანუ აიღეთ შვიდმეტი წლის გაუნათლებელი ქალის სილამაზე, ბრწყინვალე თვალები, გაზაფხულის ვარდის ფერი მომღიმარე ტუჩები, მშვენიერი ფერ-ხორცი და სხვ., შეასრულა თავის მოვალეობა; იქნება ბუნებამ გაჩენებითი ნიჭიც და კეთილ-შობილური გრძნობაც ჩასთესა ამ ქალში. მაგრამ, თუ ადამიანმა ყურადღება არ მიაქცია ქალის კეთილ თესლთა შემუშავებას, თუ ის არ აღიზარდა რი-

## «დროების» ფელტონი, 12 ნოემბ.

### ელექტრონული გამოფენა

(გაგრძელება)

(წერილი პარიჟიდამ*)

საზოგადოდ გამოფენაში, ყველა განყოფილებათა შორის, ტელეგრაფისას და გალვანოპლასტიკისას ყველაზედ უფრო დიდი ალაგი უჭირავს. ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელებს, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, ექსპონენტებს აქვთ თავიანთ განყოფილებაში ტელეგრაფის რომელიმე აპპარატი ძლიერ გაუმჯობესებული და რამეთი შესანიშნავი. ჩვენ თითქმის ყოველს ნაბიჯზე შეგვხვდება გალვანოპლასტიკით ნაწარმოები საგნები, როგორც მაგალითებრ კლიშეები და ტელეგრაფისათვის მრავალგვარი საჭირო იარაღები.

წინანდელ სტატიაში იყო ნათქვამი, რომ არა თუ ყველა გამოფენილი საგნების და მაშინების აღწერა შეიძლება, არამედ მათი უბრალოდ ჩამოთვლაც წარმოადგენს დიდს სიძნელეს. ასე გასინჯეთ, რომ სასახლეში გამოფენილია 1768 უმთავრესი აპპერატებთაგანი და რაც შეეხება წვრილმანებს, მათ ვინლა ჩამოთვლის. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მკითხველი მოგვცემს ნებას შევჩერდეთ მხოლოდ ისეთ აპპარატებზედ, რომლებიც წარმოადგენენ რამე პრაქტიკულს ინტერესს.

მივიქცეთ წინედ აღწერილ განყოფილებათა მარჯვნივ. აქ ჩვენ დაგვხვდება მრავალი სხვა-და-სხვა საზოგადოების განყოფილება; ზოგს მათგანში გამოფენილია ელექტრონის საათები, ზოგში—წყლის ამოსაწევი მაშინები, ზოგში—მადნეულების შესამუშავებელი და ქვის მაშალაშინებელი იარაღები და ზოგში საკერავსაქარგავი მაშინები. ყველა ესენი მოჰყავთ მოძრაობაში ელექტრონის საშუალებით. აქვე ვპოვებთ რკინის გზის მასალების ყალიბებს, (модель) როგორც მაგალითად რელსებს, ვაგონებს, ორთქლით მატარებელს მაშინებს და მის მიუცილებელ ამხანაგს—ტელეგრაფს ისეთ სისტემისას, რომლის საშუალებით ნიშნები გარდიცემიან სტანციიდგან სტანციაში ავტომატურად, ესე იგი თავისით.

ამათ შუა გამართულია მშვენიერად მოწყობილი ფანჩატური საფრანგეთის ტელეგრაფის და ფოშტის სამინისტროის განყოფილებისა, საცა გამოფენილია ტელეგრაფის ყოველგვარი საჭირო იარაღები, რიგ-რიგად მიყოლებული მათი გაუმჯობესობისამებრ. აქ ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ უმთავრესნი და ყველაზედ უფრო შესანიშნავნი, როგორც მაგალითად ბრეგეთის ტელეგრაფი, მორსის, სიმენსის და ჰალსკის, ვეატრტონის და სხვებისა. ამათში მორსის აპპარატი ყველაზე უფრო მარტივია.

ტელეგრამმის, ანუ უბრალოდ რომ ვსთქვათ, წერილის გარდაცემა სტანციიდგან სტანციაში მოითხოვს სამს საგანს: 1) გამყვანს მავთულს, რომლითაც უნდა იყოს შეერთებული ორი სტანცია; 2) ისეთს ინსტრუმენტს, ანუ იარაღს, რომლის საშუალებით შეიძლება ელექტრონის გაშვება და შეწყვეტა; ამ გვარ აპპარატს ჰქვია სახელად **მანიპულიატორი** (სახელთ-მოქმედო იარაღი); 3) კიდევ ისეთს იარაღს, რომლითაც შეიძლება პირველის სტანციიდგან გაგზავნილი ნიშნების მიღება მეორე სტანციაზედ. ამ იარაღს უწოდებენ „რეცეპტორს" (მიმღები). აქედგან სჩანს, რომ უმთავრეს მნიშვნელობას და აგრეთვე გაკეთების სიძნელეს წარმოადგენს ეს ორი უკანასკნელი აპპარატი. ამ სიძნელის მიუხედავად ზემოხსენებულ სწავლულებმა და მრავალმა სხვებმაც, ამ მიზნის მისაღწევად გამოიგონეს იარაღები, რომლებსაც დაერქვა სახელად გამომგონთა გვარები. აქ ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ, თუ რით განსხვავდება ეს აპპარატები ერთი-მეორისგან.

მორსის მანიპულიატორი, ანუ სახელ-მოქმედო აპპარატი შესდგება მარტივის **წოწნარისგან**, რომელიც თითქმის ყველას უნახავს, ვინც კი ყოფილა ტელეგრაფის სტანციაში და ცოტად მაინც დაჰკვირებია დეპეშის გაგზავნას. ეს ის წოწინარია, რომლითაც ტელეგრაფისტები არაკუნებენ ხოლმე. ერთს მის წვერს ქვეშ ძევს მეტალის პატარა **კოკორი**, რომელიც შეერთებულია ბატარეიასთან და მეორე წვერი შეერთებულია **აშვთან** („**спиральная пружина**") ისეთ ნაირად, რომ ამ უკანასკნელის საშუალებით წოწინარის პირველი წვერი დაშორებულია კოკრისგან. როცა

*) იხ. „დროება" № 210.

გიანად, იმის სილამაზე მალე დაჭკნება, მკვირცხლი ჭკუა, უსაზრდოოდ, მალე გაჰქრება და ეს ბრწყინვალე ქალი მალე სრულიად შეუნიშნავი იქნება საზოგადოებაში.

ახლა ვიკითხოთ: ა) როგორ უნდა შეესრულებინა საზოგადოებას, თეატრის დასის შესახებ, აქ მოხსენებული მოთხოვნილება და ბ) შეიძლება ჯერ კიდევ ამ შეცდომის გასწორება, თუ არა?

მივუბრუნდეთ ფაქტებს.

შესდგა თეატრის ამხანაგობა, ამოირჩია კომიტეტი, რომელმანც, ქართულ თეატრის დასახმარებლად, სამი ათასი მანეთის მიცემა იშუამდგომლა ბანკის მოგებიდამ და მორჩა. ამხანაგობამ კამიტეტს მიანდო თეატრზე ზრუნვა და ამით ეგონა შეასრულა თავის მოვალეობა. კომიტეტმა არა შეისწავლა ჩვენი სცენის საქმეები, მდგომარეობა; იმან მაგალითისათვის აილო აქაური რუსული უთავბოლოდ გამართული სცენა და ყველა იმის ნაკლულევანებას ჰბაძავდა. ვერ დაინახა — თუ რა ნაკლულევანება არსებობდა ამ ორ სცენას შორის.

დაიწყეს მუდამ კვირაში წარმოდგენების გამართვა სამის ანუ ოთხის რეპეტიციის შემდეგ ახალ პიესებს დგამდნენ. ეს რეპეტიციებიც ისე გულ-აცრუებით და აგდებულად მიდიოდა, რომ აქტიორები რიგიანად არც კი ამბობდნენ თავის როლს; პაპიროზი ეჭირათ ხელში და სუფლიორს შესცქეროდნენ. აქტრისები პალტოთი, კალოშებით და მოსასხმელებით მიდიოდნენ რეპეტიციებზე და თავისუფალ მოძრაობას, მიხრა-მოხრას, ხელების ქნევას ვერ ახერხებდნენ სცენაზე, და ყველა ამის შედეგს წარმოდგენის დროს ვხედავდით: აქტიორი დივანზე ზის; შემოდის მეორე აქტიორი ანუ აქტრისა, ორივეს სუფლიორის იმედი აქვთ, რადგან როლები თითქმის არასოდეს არ იციან; დადგებიან სუფლიორის ბუდკის პირ-და-პირ და შაგირდივით იმეორებენ გაკვეთილს... ვისაც ცოტაოდენი ნიჭი მისცა ღმერთმა, კიდევ როგორც არის თამაშობს, და ვისაც ნიჭი არა აქვს, ის კი თავის დღეში ვერ ვარჯიშდება, ვერ შედის წარმატებაში.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## ახალი ამბები.

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი განკარგულება კავკასიის მთავარ-მმართებლის თანამდებობის დროებით აღმასრულებლისა:

„მივიღებთ რა მხედველობაში,

„რომ თფილისის მხატვრობით-იუმორიული გაზეთი „ფალანგა“, რომელიც ცენზურის ხელ-ქვეშ გამოდის, მუდამ არდგენს ცენზორის კომიტეტში ისეთს სტატიებსა და სურათებს, რომელნიც მოსაწონი არ არის დასაბეჭდათ და მიმართულებითაც მავნებელნი, რადგან ამ სტატიებში და სურათებში არის დაცინება და კარიკატურულად გამოხატული მმართებლობის სხვა-და-სხვა განკარგულება,

„რომ, თუმცა ცენზურის კომიტეტი ხშირად იჭერს ხოლმე ამ გვარს სტატიებს, მაგრამ რედაქცია მაინც არ იშლის ამასთანავე ამ გვარ მიმართულების სტატიების წარდგენას და დაჟინებით ცდილობს ამ სტატიების გაშვებას ცენზურისაგან,

„რომ, ბოლოს, რედაქციამ არა-ერთხელ დაბეჭდა თავის ჟურნალში ისეთი სტატიები, რომელნიც ცენზურისაგან აღკრძალულნი იყვნენ, —

„დროებით აღმასრულებელმა კავკასიის მთავარ-მმართებლის თანამდებობისამ, ცენზორის წესდების მე-4 სტ. მე-49 მუხლის 1876 წ. ძალით, აუცილებელ საჭიროებად დაინახა რვა თვის გადით შეაჩეროს ჟურნალის „ფალანგის“ გამოცემა“.

* * *

ერევნიდამ იწერებიან, რომ ამ თვის 8-ს იქ გაუხსნიათ საოსტატო სასწავლებელი, რომელშიაც 30 ყმაწვილი მიუღიათ, ამათგან 20 სახელმწიფო ხარჯით.

* * *

წარსულს კვირას არწრუნის თეატრში ქართული დრამატიული დასისაგან იყო გამართული წარმოდგენა დაკლებულის ფასებით. ფასების დაკლების მიზეზი იყო სურვილი დასისა, რომ ღარიბ საზოგადოებას მისცეს საშუალება იაფად და გონივრულად გაატაროს საღამო, ლოთობისა და სხვა დამღუპველის „სიამოვნების“ მაგივრად.

თუმცა წარმოდგენა ძალიან კარგად წავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოება ძალიან ცოტა იყო და ამას მივაწერთ მხოლოდ იმ საძაგელს ტაროსს, რომელიც იმ დღეს ქალაქში დადგა; ამ საღამოს ისეთი ტაროსი იყო, რომ ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ.

ჩვენის აზრით, ამ გვარი წარმოდგენები არწრუნის თეატრში დიდი სასარგებლო დი სასიამოვნო მოვლენა უნდა იყოს, რადგანაც იქ უმეტესი წილი მოსწავლე შეგირდები, წვრილი ვაჭრები, ღარიბი ხალხი დადის. იმედი გვაქვს, რომ ეს წარმოდგენები ფესვს გაიდგამენ და აქტიორები არ დაიზარებენ ამ სასარგებლო საქმისთვის შრომას.

## კიდევ ნიკოლოოზ ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ.

თქვენს პატივცემულს გაზეთში („დრ“. №234) ბ. ვლადიმერ მიქელაძე სწერს, რომ იმას არხივში უპოვნია ერთი ქაღალდი, სადაც არის ნაჩვენები, ვითომც 1830 წელს ნიკოლოოზ ბარათაშვილი ყოფილა 12 წლისა და ამის გამო ის უნდა იყვეს დაბადებული 1818 წელსა და არა 1816 წელსა; იმასაც უმატებს ბ. მიქელაძე, რომ ის უფრო ენდობა არხივის ოფიციალურს ქაღალდს, ვიდრე საფლავის ქვაზედ წარწერილს ბარათაშვილის დაბადებასა.

ჩემის ჰაზრით, ბევრად უფრო სანდობელია წარწერილი საფლავის ქვაზედ დაბადება ბარათაშვილისა, ვიდრე არხივის ქაღალდი ამისთვის, რომ საქართველოში 1819-ს წლამდისინ და უფრო გვიანაც მეტრიკის ქაღალდები არ იყო დაწერილი; მაშინ, როგორც დედ-მამას სურდათ, ისრე გამოართმევდნენ ხოლმე თავის შვი-

---

სურთ ნიშნების (წერილის) გაგზავნა სადმე, წოწინარის თავს შეაერთებენ კოკორთან; ამ დროს ბატარეის ნაკადული (токъ) ანუ ელექტრონი გადადის კოკრიდგან წოწინარში და ამ უკანასკნელიდგან მასთან შეერთებულს მავთულში, რომელიც გაყვანილია მეორე სტანციაში. წოწინარით შეგვიძლია ვაჩვენოთ ორ გვარი ნიშნები: წერტილები ანუ ხაზები და მისდა-მსგავსად ვაწევებით მას მცირე ანუ დიდი ხნის განმავლობაში.

მიმღები აპპარატის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს ამ გვარივე წოწინარი, რომლის ერთს წვერს ქვეშ ძევს მავთულთან შეერთებული ელექტრო-ანდამატი და მეორე კი შეერთებულია აშკთან; ამის გამო ელექტრო-ანდამატი და წოწინარის წვერი დაშორებულნი არიან ერთმანერთისაგან. როცა მავთულში ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიქცეული ნაკადული გარბის ელექტრო-ანდამატში, მას ზევით მყოფი წოწინარის წვერი ანდამატის მიმზიდველობის გამო, ეშვება ძირს და ერთდება კოჭთან (катушка), ესე იგი ელექტრო-ანდამატთან და ამ დროს მეორე წვერი ზევით იწევა და ნელად აჭერს ქაღალდის ზოლზედ, რომელზედაც რჩება წერტილები და ხაზები, ამიტომ რომ მას ზევით ძევს პატარა ცილინდრი დაფარული ქონ-მელნით (тушь), რომელსაც ქაღალდი ებჯინება წოწინარის წვერთან შეხების დროს. რადგანაც ელექტრო-ანდამატი ღებულობს მიმზიდველს თვისებას მხოლოდ მაშინ, როცა მასში გარბის ნაკადული, ამიტომ ის განიმეორებს ყველა იმ მოძრაობათ, რომლებიც იყვნენ ნაქნარნი მანიპულიატორის საშუალებით და ამ ნაირად მივიღებთ პირველი სტანციიდგან გამოგზავნილ ნიშნებს: წერტილებით და ხაზებით ადვილი შესადგენია ანბანის ასოები და ამ უკანასკნელებით — სიტყვები.

ამ აპპარატის ნაკლულევანება მდგომარეობს მასში, რომ უჩვეულს ადამიანს ამ იარაღით არ შეუძლია დეპეშის გაგზავნა და არც მიღებულის წაკითხვა; მისი შესწავლა ესე იგი ნიშნების გაზეპირება და თითების გავარჯიშება მოითხოვს გვარიანს დროს. ამ მოუხერხებლობის მოსასპობლად ბრეგეტმა გამოიგონა სულ სხვა ნაირი მანიპულიატორი.

ბრეგეტის — აპპარატი შესდგება ხის ფიცრისგან, რომელზედაც დამაგრებულია ცუფრთ-ფიცარი (циферблатъ). ამ უკანასკნელზედ გამოსახულია ორი სიმრგვლეები. ერთი მათგანი ცენტრის (შუაგულის) უუმახლობელესი, დაყოფილია იმოდენად, რამოდენიც ასოებია ანბანში, მხოლოდ ერთი ნიშანია მომეტებული; ესენი გამოხატულნი არიან თავ-თავის ადგილას ისე მიყოლებით, როგორც ანბანაში; მაგრამ, რადგანაც ისინი გამოსახულნი არიან სიმრგვლეზედ, ამიტომ უკანასკნელი ასო შეხვდება პირველს, რომლებთ შუა ძევს განმათვისებელი ნიშანი, ესე იგი ჯვარი. მეორე სიმრგვლე, უფრო დაშორებული ცენტრისგან, ამ ნაირადვე დაყოფილია ოთხ-კუთხედებად, საცა ჩაწერილია 0, 1, 2, 3... ციფრები. ციფრ-ფიცარის ნაპირზედ ამ ნიშნების პირ-და-პირ გაკეთებულია წვრილი, პატარა ნახვრეტები და მის შუაგულზედ მიმაგრებულია იმრგვლივ მოძრავი ტარი, რომელშიაც ამოჭრილია ოთხ-კუთხედი, იმოდენი სიდიდისა, რომ მასში, მოძრაობის დროს, ერთად მოჩანან ასოები და ციფრები, როცა ის გაუსწორდება მათ. მის ქვედა-პირზედ მიმაგრებულია კბილის მსგავსი პატარა ლურსმანი. როცა გვინდა გავგზავნოთ ანუ ვანიშნოთ მეორე სტანციაში რომელიმე ასოები ანუ ციფრები, უნდა მოვატრიალოთ ტარი და მისი ლურსმანი ჩავსვათ მათ პირ-და-პირ მყოფ ამოხვრეტილებში. ციფრ-ფიცრის ქვეშ ძევს სპილენძის მრგვალი ფიცარი, რომელიც შეერთებულია ტართან და ორნივე მოძრაობენ თანახმად. ეს ფიცარი დაკვალულია ისეთ ნაირად, რომ მისი კვალი სიმრგვლის მაგიერად წარმოადგენს ღელვის მსგავსს კლაკნილებას, რომელიც უახლოვდება და შორდება ცენტრს იმოდენჯერ, რამოდენსაც წარმოადგენს ასოების რიცხვის ნახევარი. ამ ფიცრის მარცხნით, ძირს, ცოტა მოშორებით არის ორი პატარა ბოძი ცოტაოდნად მოშორებული ერთმანერთისაგან; ის, რომელიც მარჯვნით იმყოფება, შეერთებულია ბატარეიის დადებით პოლიუსთან და მეორე — სტანციის მიმღებთან და ლინიასთან (მავთულთან). ამ ორს ბოძს ზევით ძევს წოწინარი, რომლის ერთ მხარს წარმოადგენს რბილი აშკი და მეორის წვერზედ მიმაგრებულია პატარა მწვერვალი. ეს უკანასკნელი ჩაბჯენილია სპილენძის ფიცრის კვალში, რომლის კლაკნილებას მან უნდა მისდიოს. როცა ტარს და მაშასადამე სპილენძის ფიცარსაც ატრიალებენ, კვალში ჩამჯდარი წოწინარის მწვერვალი იმოდენჯერ უახლოვდება და შორდება ცენტრს, რამოდენსაც წარმოადგენს ასოების რიცხვის ნახევარი და ამავე დროს წოწინარის მეორე წვერიც, ესე იგი აშკი, ებჯინება და შორდება იმ ბოძს, რომელიც შეერთებულია ლინიასთან და მიმღებთან. აქედგან სჩანს, რომ მწვერვალის მიახლოვების დროს ცენტრთან, ესე იგი, როცა ტარით ვუპირდაპირდებით რომელიმე ასოს, აშკი ებჯინება ბოძს და ჰკეტს მოქცევს (цѣпь) და როცა ის შორდება მას, ესე იგი ვშორდებით ასოს, მოქცევი იხსნება და ნაკადული სწყდე-

ლის დაბადების მოწმობას მღვდლებს; როცა შვილი სკოლაში მისაცემი იყო, წელიწადებს უკლებდნენ. რადგანაც პირველს კლასში, სკოლაში მცირე-წლოვანი (12-ს წლამდისინ) უნდა მიეცათ. ამის დასამტკიცებლად ბევრს მაგალითს მოვიყვანდი, რო საჭირო იყოს. თითონ ჩემი ფორმულიარი რომ ნახოს ვ. მიქელაძემ, იქ წაიკითხავს, რომ მე ვარ დაბადებული 1818 წელსა. ეს სრულებით მართალი არ არის; მე ვარ ნამდვილად დაბადებული 1815 წელსა. ფორმულიარი არის ოფიციალურად ქეშმარიტი დოკუმენტი და ამ დოკუმენტში რა შეცდომაა? თუ ინებებს მიქელაძე, იმასაც ვაჩვენებ მამიჩემისგან დაწერილს, რომ მე ვარ დაბადებული 1815 წელსა.

ყოველს სახლში, სადაც ერთმა მაინც იცოდა წერა, შვილი რომ ეყოლებოდათ, დასწერდნენ დაბადების წელიწადს, თვეს და რიცხვს ან „ვეფხის ტყაოსნის“ ყდაზედ, ან სახარებაზედ, ან დავითნზედ და ეს ჩვეულება ეხლაც არის საქართველოში. ამაზედ ეჭვი არ უნდა იყოს, რომ მელიტონ ბარათაშვილის სახლში, სადაც ყველამ კარგად იცოდა წერა-კითხვა, შვილის ნიკოლოზის დაბადება იყო დაწერილი და როცა ის გარდაიცვალა, იმისმა დებმა იცოდენ თავის ძმის დაბადება, და საფლავის ქვაზედ დააწერინეს, რომ 1845 წელსა გარდაცვალებული ნიკ. ბარათაშვილი იყო ოც-და-მეცხრე წელიწადში,—მაშა სადამე 1815 წ. დაბადებული.

როცა დავწერე მოკლე ბიოგრაფია ნ. ბარათაშვილისა, არც ერთი და იმისი არ იყო თფილისში და სხვა იმის ახლო ნათესავებმა ნამდვილად არ იცოდნენ იმის არა თუ დაბადება, გარდაცვალებაც.

საფლავის ქვაზედ წარწერილს გარდა, მე დავწერე იმავე ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაში, რომ თითონ იმისაგან გამიგონია ბევრჯერ, რომ 1816 დაიბადა და ჩემზედ ერთის წლით უმცროსი იყო.

ოფიციალურს ქაღალდზედ თუ შევადგენთ ხსოვნას ანუ ფაქტების აღწერას, ჩვენ ხშირად შევსცდებით; ბევრი საქმეები, ოფიციალურად აღწერილი, წამიკითხავს სრულებით გაბრუნებული, ისეთი ნამდვილნი საქმეები, რომელშიაც თითონ მე მქონია მონაწილეობა და მინახავს.

კონსტანტინე მამაცოვი.

1881 წელსა, 9 ნოემბერს.

# განცხადებანი

## თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანქისაგან

თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მეცამეტე (XIII) ტირაჟში, რომელიც მოხდა 5 ნოემბერს 1881 წელს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირაოს ფურცლებისა:

1) გირაოს ფურცლები გამოცემულნი 28 მაისის 1874 წ. ბანკის წესდების საფუძვლით:

**I სერიისა**

18 წლისა და 7 თვის.

ას (100) მანეთიანი ღირსებისა, №№. ას-მეთოთხმეტე (114), ოთხმოც-და-მეშვიდე (87), მესამე (3), მეთოთხმეტე (14), ორმოც-და-მეცხრამეტე (59).

54 წლისა.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № პირველი (1).

**II სერიისა**

18 წლისა და 7 თვის.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № მეცხრე (9).

27 წლისა და ნახევრის.

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა, № ას-ოთხმოც-და-მეცხრამეტე (199).

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № ოთხმოც-და-მესამე (83).

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № ას ოთხმოც-და- მეთორმეტე (192), ორას-პირველი (201) და ას სამოც-და-მეცამეტე (173)

54 წლისა და ნახევრის.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № მეცხრე (9) და სამოც-და-მეთერ. (71).

**III სერიისა**

27 წლისა და ნახევრის.

ათას (1000) მანეთიან ღირსებისა, № მეცხრამეტე (19).

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № ოთხმოც-და-მეთხუთმეტე (95).

54 წლისა და ნახევრის.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № ოთხმოც-და-მეხუთე (85)

ოთხმოც-და-მეთერთმეტე (91) და სამოც-და-მერვე (68).

**IV სერიისა**

27 წლისა და ნახევრის.

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № მეოთხმოცე (80)

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № მეცხრამეტე (19)

**V სერიისა**

27 წლისა და ნახევრის.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № მეექვსე (6), მერვე (8) და მეორე (2).

54 წლისა და ნახევრის.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № მეთხუთმეტე (15), ორას-მეათე (210), ორმოც-და-მეთერთმეტე (51) და ას-სამოც-და-მეხუთმეტე (175).

**VI სერიისა**

27 წლისა და ნახევრის.

ხუთას (500) მანეთიან ღირსებიან, № მერვე (8)

ას (100) მანეთიან ღირსებისა № მეთორმეტე (12)

43 წლისა და ნახევრის.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № ოც-და-მეთოთხმეტე (34) და ოც-და-მეორე (22)

**VIII სერიისა**

27 წლისა და ნახევრის.

ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № ოც-და-მეხუთე (25).

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № ას-მეცხრე (109).

43 წლისა და ნახევრის.

ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № ას მეოთხმოცე (180) და ას-ორმოც-და-მეოთხე (144)

---

ბა. ახლა, ვსთქვათ, გვინდა აღვნიშნოთ რომელიმე ასო. ტარი დაყენებულია ჯვარის ნიშანზედ; მოქცევაც გახსნილია. ჩვენ უნდა ჩქარა მოვატრიალოთ ტარი ნიშნიდგან დაწყებული მარჯვენიდგან მარცხნით და გავაჩეროთ რამოდენიმე ხანს აღნიშნული ასოს პირ-და-პირ, მისთვის რომ მიმღებს ადამიანს შეეძლოს მაზედ ყურადღების მიქცევა.

მიმღები.—მანიპულიატორით გაგზავნილი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაკადულები გადიან მიმღებ აპპარატის ელექტრო-მაგნიტში მეორე სტანციაზედ. ის იქცევა ანდამატად ელექტრონის თითოეულ გასვლის დროს და იზიდავს მის მახლობლად მყოფ წოწინარის წვერს. ნაკადულის თითოეულ შეწყვეტის დროს ეს უკანასკნელი შორდება კოჭს, ესე იგი ელექტრო-ანდამატს, რომელიც ამ დროს ჰკარგავს თავის მიმზიდველ ძალას, ამიტომ რომ წოწინარის მეორე მხარს მოჰყავს ის პირველსავე ძდებარეობაში მასთან შეერთებული აშკით. ამ ნაირად წოწინარი შეასრულებს იმოდენ ქანაობას, რამოდენი ასოებიც მანიპულიატორმა აღნიშნა ციფრთ-ფიცარზედ. წოწინარის წვერი შეერთებულია კბილებიან ბორბლების და ცილინდრების საშუალებით ისართან, რომელიც მიმჯდარია ვერტიკალურად დაყენებულ მანიპულიატორის მსგავსს ციფრთ-ფიცარზედ ასე რომ, როცა აპპარატი მუშაობს, ისარი ჩერდება იმ თითოეულს ასოებზედ, რომლებიც იყვნენ ნაჩვენები ტარით მეორე სტანციაზედ.

ჩვეულებრივი ციფრთ-ფიცარიანი თავის რთული მეხანიზმით წარმოადგენს ბევრს ნაკლულევანებას და მოუხერხლობას; ერთი მათგანი მდგომარეობს მასში, რომ ამ აპპარატის საშუალებით დეპეშის მიმღებმა ანუ ტელეგრაფისტმა იმ დრომდინ უნდა იცადოს უპასუხოდ, სანამ გამგზავნელი არ გაათავებს ყველა ნიშნების გადაცემას. ამიტომ სიმენსმა და ჰალსკიმ გამოიგონეს ისეთი სისტემის აპპარატი, რომლის საშუალებით ორივე სტანციებში მყოფ ტელეგრაფისტებს შეუძლიანთ ვასხებით ვააწყვეტინონ ერთმანერთს ანუ ისაუბრონ ისე, რომ ვითომც ისინი იდგნენ ერთი-მეორის მახლობლად და ლაპარაკობენ.

ორივე სტანციაში ჩვეულებრივს მანიპულიატორის და მიმღების მაგივრად იმყოფება მარტოკა ერთი ორბოლოიანი აპპარატი, რომელიც მოქმედებს ერთ-ნაირად, როგორც დეპეშის გასაგზავნად, ისე მის მისაღებად. ეს იარაღი წარმოადგენს მყრყევარ წოწინარს, რომლის მოძრავი არმატური თითოეულს ქანაობის დროს მასთან შეერთებული კაკვის საშუალებით აჩერებს და უშვებს დრო-გამოშვებით კბილებიან ბორბალს, რომელზედაც მიმაგრებულია ასოების მაჩვენებელი ისარი. ამათში გაყვანილია მუდმისი ელექტრონის ნაკადული ერთი და ივივე ბატარეისგან. ორივე სტანციაში არმატურები ქანაობენ ერთსა-და-იმავე დროს და ისრები, რომლებიც სტრიალებენ დრო-გამოშვებით, ერთსა-და-იმავე წამში აჩვენებენ ანბანის ერთსა-და-იმავე მარცვლებს. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ისართაგანი შეჩერდა რომელიმე მარცვლის პირ-და-პირ; ამ დროს მასთან შეერთებული არმატურის მოძრაობა შესწყდება, რომელიც ამდენ ხანს მსვლელობაში იყო, ამიტომ რომ მთელს მოქცევაში ნაკადული მოისპო; ამის გამო მეორე სტანციაშიც ისარი გაჩერდება ამავე მარცვალზედ თავის არმატურიანებ, რომელიც ამ დროს ცოტაოდნად მოშორებული იქნება ელექტრო-ანდამატისგან. თუ პირველს სტანციაში ისარი იქმნა თავ-მინებებული, მაშინ ორივე ისრები ხელ-ახლავ დაიწყებენ ტრიალს და მათი მოძრაობა გაგრძელდება იმ დრომდინ, სანამ ერთს მათგანს რომელიმე ასოზედ არ გავაჩერებთ. ისრების გასაჩერებლად ციფრთ-ფიცრის იმრგვლივ, ანუ წინ—სულ ერთია, აწყვია კლავიშები, რომლებსაც აწევებიან ხოლმე და ამ დროს ეს უკანასკნელები აჩერებენ წოწინარს, რომელიც პარალელულად ძევს ისრის ქვეშ და მისვე თანახმად მოძრაობს. რადგანაც ორივე სტანციაში თანახმად მოძრაობენ აპპარატები, ამიტომ ამ გვარ სისტემის იარაღს დაარქვეს სახელად **სინხრონიკული** ანუ ერთ-და-იმავე დროს ერთ-და-იგივე მარცვლის მაჩვენებელი ტელეგრაფი.

აქ ჩვენ კიდევ დაგვრჩა დასათვალიერებლად სხვა სისტემების რამოდენიმე ტელეგრაფები და თუ ამ ჩემმა სტატიამ თავი არ მოგაწყინათ და თქვენი ნებაც იქნება, შემდეგ სტატიაში ავწერ შეძლების-და-გვარად მათ შენობას და იმასაც—თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ მოგზაურობაში, ვაჭრობაში, მეცნიერებაში და სხვა მრავალ-გვარ გარემოებაშიაც.

გოგია გურული.

პარიჟი, 27 ოქტომბ.

IX სერიისა
27 წლისა და ნახევრის.
ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № ოც-და-მეთორმეტე (32), მეხუთმეტე (15) და ორმოც-და-მეოთხე (44).
43 წლისა და ნახევრის.
ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № ოც-და-მეცხრამეტე (39).

X სერიისა
27 წლისა და ნახევრის.
ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № მეშვიდე (7)
ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № მეოთხე (4), მესამე (3) და მეორე (2).
43 წლისა და ნახევრის.
ას (100) მანეთიან ღირსებისა, № მეცამეტე (13)

XI სერიისა
27 წლისა და ნახევრის.
ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № სამას-მერვე (308), სამას - მეხუთე (305) და ორას მესამოცე (260)
43 წლისა და ნახევრის.
ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № ოთხმოც-და-მერვე (88) და ას მეთვრამეტე (118).

**2) გირაოს ფურცლები გამოცემულნი ბანკის წესდების ძალით 17 თებერვალს 1881 წელსა.**

I სერიისა
27 წლისა და ნახევრის.
ათას (1000) მანეთიან ღირსებისა, № № ორას ორმოც-და-მეათე (250), სამას ოც-და-მეშვიდე (127), სამას ოც-და-მერვე (328) ორას ორმოც-და-მესამე (243) და მეორასე (200).
ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № № ოც-და-მეცამეტე (33) და სამოც-და-მეცამეტე (73).
ას ორმ. ც-და-ათ (150) მანეთიან ღირსებისა № № ოც-და-მეთორმეტე (32) ოც-და-მერვე (28), მეცამეტე (13) და ოც-და-მეთერთმეტე (31).
ას (100) მანეთიან ღირსებისა, № № ას-მეხუთე (105) და მეცამეტე (13)
43 წლისა და ნახევრის.
ხუთას (500) მანეთიან ღერსებისა, № ოც-და-მეორე (22).
ას ორმოც-და-ათ (150) მანეთიან ღირსებისა, № № მეოთხე (4) და ოც-და-მესამე (23).
ა'ს (100) მანეთიან ღირსებისა, № პირველი (1).

II სერიისა
27 წლისა და ნახევრის.
ათას (1000) მანეთიან ღ რსებისა, № № სამას მეექვსე (306), ას ოთხმოც-და-მეცხრე (189), სამოც-და-მეშვიდმეტე (77), ექვსას ოთხმოც-და-მეთერთმეტე (691), სამოც-და-მერვე (68) და ორმოც-და-მეშვიდე (47).
ხუთას (500) მანეთიან ღირსებისა, № ოც-და-მეთექვსმეტე (36).
ას (100) მანეთიან ღირსებისა № №, სამოც-და-მეთექვსმეტე (76) და ორას ორმოც-და-მესამე (243).
43 წლისა და ნახევრის.
ას (100) მანეთიან ღირსებისა, № მეათე (10) ოც-და-მეხუთე (25) და მეთოთხმეტე (14).

მეტამეტე (XIII) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები 1872 წლის 2 იანვრამდის სარგებლობენ პროცენტით.

ამ ტირაჟში გამოსულ გირაოს ფურცლების მაგიერ ფულის მიღება შეიძლება ქ.ქ. თფილისში, ბანკის კასაში, პეტერბურღში და ვარშავაში ბანკირის ბ. ვაველბერგის კანტორებში.

(1—1)

---

# აბონემენტი
## ქართული თეატრისა

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

ფასი დაკლებულია:

| | | |
|---|---|---|
| ლიტ. და შუა ლოჟ. | 54 მ. | —60 მ. |
| ლოჟ. № 1,2,19,20 | 30 მ. | —42 მ. |
| დანარჩენი ლოჟები | 36 მ. | —48 მ. |
| კრესლო 1 რიგისა | 15 მ. | —18 მ. |
| კრეს. 2 და 3 რიგასა | 10 50 მ. კ. | —12 მ. |
| სკამი მესამე რიგ. | 4 50 | — 6 მ. |

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { ვ. აბაშიძე, კ. მესხი.

---

ინგლისის მაღაზიაში



**თმის ამომყვანი მაკ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—65)

---

ი. მურადოვის
წიგნის მაღაზიაში
# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—16)

---

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეიაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—57)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურკელი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვაზები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ხელქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—36)

---

ორი ყმაწვილი კაცი

ამზადებენ ბავშვებს გიმნაზიის პირველ ოთხი კლასებისთვის. ადრესის დატოვება შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (4—4)

---

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

---

# თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ბანკის წესდების § 15 თანახმად 17 თებერვალს 1881 წლისა, ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 10-ს ამ 1881 წლისა, შუადღეზე, თფილისის ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში, № 13, იქნება საზოგადო გასყიდვა (უპერეტორჟკოდ) იქ ქვემო-მოხსენებულ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც ბანკიდგან აღებული ვალი დანიშნულ დროზე ვერ შემოიტანეს, ბანკის წესდების § 13, 14, 15, 17, 18 და 19 მუხლებისაგან დადგენილი.

ამატონი, ნაპოლეონ ივანეს-ძე: ა) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფით და ორ- ართულიანის შენობით და ბ) ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი 57,879 ოთხკუთხი საჟენი. მე-4 უჩასტკაში 1 განყოფ ქ. თფილისში, ველიამინოვის ქუჩაზე. თავრი ვალი 602,55 მან. 51 კ., ამას გარდა გარდასახადი 5802 მ. 9 კ. სულ სამოც-და-ექვსი ათასი ორმოც-და ჩვიდმეტი მან. და სამოცი კაპ.

ამატუნი, ნაპლეონ ივსნეს-ძე: ვენახი, 2 დეს. 90 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ., სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდახანი. თავნი ვალი 2000 მან. ამას გარდა გარდასახადი 65 მან., სულ ორი ათას სამოც და ხუთი მან.

გასყიდვა ამ მამულებისა, ბანკის წესდების § 18 ძალით, დაიწყება ზემოხსენებულ ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება გარდასახადი საერო და ხარჯისა.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გადახდილ იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთი, შეიძლება აგრეთვე ბანკმა ვალი მამულის მყიდველზე გადაიტანოს; ვადაზე შემოსატანი ფული და სხვა გარდასახადი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს ბანკში შეტანილი.

თუ დანიშნულ დროს, ამ წლის 10 ქრისტეშობისთვეს, ვერ გასყიდა გასასყიდლად დანიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების § 21-ის ძალით, მეორე და უკანასკნელად დაინიშნება ვაჭრობა (ტორგი) 24 დეკემბრისათვის.

ბანკის წესდების §16-ის ძალით, ვალის ამღებს უფლება აქვს ვალს გარდა რაც გადასახადი ხვდება თავის სარგებლითა ვადაზე შემოუტანლობისათვის და აგრეთვე სხვა ხარჯიც, რაც იმის მამულს გასასყიდლად დანიშვნისათვის დაეხარჯა ბანკს, გასყიდვის (ორგის) დღემდინ შემოიტანს ბანკში.

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. ზამოც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი